ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ჩ-54780/12

"18." 11. 2015 წ

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, (სექტორი–კრწანისი), სამღებროს ქ. №9/11, საადის ქ. №2 (ნაკვეთი №64/41, სამღებროს ქ. №9/11, საადის ქ. №2, ნაკვ. №64/41–ის მიმდებარედ (საკ. კოდი №01.18.03.064.049) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური შენობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №904428 24.09.2015წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, (სექტორი–კრწანისი), სამღებროს ქ. №9/11, საადის ქ. №2 (ნაკვეთი №64/41, სამღებროს ქ. №9/11, საადის ქ. №2, ნაკვ. №64/41–ის მიმდებარედ (საკ. კოდი №01.18.03.064.049) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„თ-ა“ ფასადი: ±0.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ფრამუგა, ხოლო „ზ-ზ“ და „ე-ე“ ღერძებზე გაუქმებულია დეკორატიული სვეტები. ფასადზე დამატებით მოწყობილია გამათბობლის ქვაბები, გამწოვი და საკომუნიკაციო მილები. „ზ-ე“ მონაკვეთში +11.400 ნიშნულზე აივნის ფილის ქვეშ გაუქმებულია დეკორატიული ელემენტები. +12.300 ნიშნულზე ტერასის მოაჯირებზე და ფასადზე დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია. „გ-ბ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილი სავენტილაციო ღიობი დაფარული ცხაურით. „ბ-ა“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია პლასტმასის მილი. „გ-ა“ მონაკვეთში კედელზე დამატებით მოწყობილია მომიჯნავე არსებული შენობის გადახურვასთან დაკავშირებული ლითონის კონსტრუქცია.

„1-5“ ფასადი: +5.500 ნიშნულზე, ფანჯრების გასწვრივ არ არის მოწყობილი კარნიზი. „1-1“ ღერძთან შენობის ძირში დამატებით მოწყობილია პლასტმასის მილი. ±0.00 ნიშნულზე „3-5“ მონაკვეთში ვიტრაჟს და კარის ღიობს შორის გაზრდილია შუაკედლისი 0.3 მ-ით. +7.950 ნიშნულზე „3-4“ მონაკვეთში ორ ფანჯარას შორის გაზრდილია შუაკედლისი 0.25 მ-ით. ფასადზე ფანჯრების ქვეშ „1-2“ მონაკვეთში გაზრდილია კარნიზების სიგრძე. +11.40 ნიშნულზე გაზრდილია სამერცხლეების სიმაღლე 0.2 მ-ით. +7.950 ნიშნულზე, „1-2“ მონაკვეთში ფანჯრის ქვეშ გაუქმებულია დეკორატიული ლესვა. +11.400 ნიშნულზე, „2-3“ მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. +4.500 და +7.950 ნიშნულებზე აივნებზე დამატებით მოწყობილია ხის გამყოფები. +4.500 და +7.950 ნიშნულებზე აივნებზე შეცვლილია დეკორატიული სვეტების რაოდენობა. +4.500 ნიშნულზე ვიტრაჟებზე „2-4“ მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი.

„ა-თ“ ფასადი: „კ-ე“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია რეკლამები. „ე-მ“ მონაკვეთში +4.500 და +7.950 ნიშნულებზე, ფანჯრების ქვეშ კარნიზები გაერთიანებულია. „მ-ნ“ მონაკვეთში +4.500 ნიშნულზე აივნის ქვეშ კარნიზები გაერთიანებულია.

„5-6“ ფასადი: „5-5“ ღერძთან ფასადზე დამატებით მოწყობილია სავენტილაციო ღიობები დაფარული ცხაურით. „6-6“ ღერძის გარეთ ±0.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია გამათბობლის ქვაბები და გამწოვი მილები. ფასადზე აივნებზე დამატებით მოწყობილია ხის გამყოფები.

„1-5“ და „ა-თ“ ფასადებზე +7.950 ნიშნულის აივნის თავზე [illegible] მონაცვლებული აქვს ადგილი. შენობის სახურავზე დამატებით მოწყობილია [illegible] მილები, სატელიტური თეფშები და ჩიღარი. შენობაში კიბის უჯრედში ზოგ [illegible] შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა. +7.950 ნიშნულზე, „5-5“ [illegible] გაზრდილია აივნის სიგანე 0.45 მ-ით. „8-8“ ღერძის გარეთ „კ-ნ“ მონაკვეთში [illegible]

აივნის ფილის სიგანე 0.15 მ-ით. +4.500 და +7.950 ნიშნულებზე „ა-ა“ ღერძის გარეთ შეცვლილია აივნის გაბარიტები. +11.400 ნიშნულზე „ზ-ე“ მონაკვეთში გაზრდილია აივნის სიგრძე 0.15 მ-ით. ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია კარნიზების და დეკორატიული ლესვის ნახატები, ასევე ნაწილობრივ შეცვლილია მათი ფორმა, გაბარიტები და მონაცვლებული აქვთ ადგილი. ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია კარის და ფანჯრის ღიობების გაბარიტები.

±0.00 ნიშნულზე, „ი-ი“ ღერძის გარეთ შეცვლილია კიბის ფორმა, გაბარიტები და სცდება საკადასტრო საზღვრებს. „1-4“ მონაკვეთში „ა-ა“ ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია კიბის საფეხურები, რომელიც სცდება საკადასტრო საზღვრებს. შენობა ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს.

±0.00 ნიშნულზე „ნ-ნ“ ღერძის გარეთ დანადგარები და საკომუნიკაციო მოწყობილობები განთავსებულია საკადასტრო საზღვრებს გარეთ.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის ”გ” ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ” ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ” ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ლევან კაკაბაძეს, ქ. თბილისში, (სექტორი–კრწანისი), სამღებროს ქ. №9/11, საადის ქ. №2 (ნაკვეთი №64/41, სამღებროს ქ. №9/11, საადის ქ. №2, ნაკვ. №64/41–ის მიმდებარედ (საკ. კოდი №01.18.03.064.049) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური შენობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №54780/12 19.10.2015წ. და №62970/12 28.10.2015წ. განცხადება.